

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 0 19 00000600
2019 წლის 08 ოქტომბერი ქ.თბილისი
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული
საცხოვრებელი ბინების
სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემისათვის
გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების 46-ე პუნქტის, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ და „ო“ ქვეპუნქტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის კომისია (შემდგომში „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯუანშერ ბურჭულაძე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის თანათავმჯდომარე;
 - ბ) კომისიის თანათავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი;
 - გ) კომისიის წევრები:
 - გ.ა) საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის ერთ-ერთი მოადგილე;
 - გ.ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდალი;
 - გ.გ) ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
 - გ.დ) სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსი;
 - გ.ე) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-1 პერსონალის დეპარტამენტის უფროსი;
 - გ.ვ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-4 ლოჯისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი;
 - გ.ზ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი;
 - გ.თ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსი;
 - გ.ი) იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსი.

2. ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ - „გ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კომისიის წევრის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს მისი მოადგილე.

2¹. სხდომებს დამკვირვებლის სტატუსით დაესწროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი.

ბრძანება N MOD 1 19 0000719 12.12.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული კომისიის უფლებამოსილებად განისაზღვროს:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივი სარგებლობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება;

ბ) საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

გ) ამ ბრძანების გამოცემამდე მოქმედი საბინაო კომისიების ოქმების და გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად გამოცხადება, ბათილად ცნობა და არარა აქტად აღიარება, მათში ცვლილებების შეტანა.

4. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციების და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში, სამხედრო სწავლებების/წვრთნების განხორციელებისას და ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისთვის საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის წარდგინების საფუძველზე;

ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის წარდგინებაში განსაზღვრული სამხედრო მოსამსახურეებისთვის საცხოვრებელი ბინების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემაზე, რომლებსაც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციების და სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში, სამხედრო სწავლებების/წვრთნების განხორციელებისას და 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრა-დასახიჩრების ან ტრამვის მიღების გამო ჩაუტარდათ კიდურ(ებ)ის ნებისმიერი დონის ამპუტაცია ან აღენიშნათ თვალის ცალმხრივი/ორმხრივი ანოფთალმი/სიბრმავე ან მიენიჭათ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი;

გ) სამხედრო მოსამსახურეებისათვის კონტრაქტის საფუძველზე საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემაზე (მათი ნამსახურობის წლების გათვალისწინებით), საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის წარდგინების საფუძველზე;

დ) სამინისტროს სამოქალაქო (ყოფილი სამხედრო) მოსამსახურეებისათვის და დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის კონტრაქტის საფუძველზე საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემაზე (მათი ნამსახურობის წლების გათვალისწინებით), საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის წარდგინების საფუძველზე;

ე) საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მიერ რეკომენდირებული სამხედრო მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი ბინების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. რეკომენდაცია

შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის კურატორ საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილესთან.

5. კომისიის მიერ 40 კვ.მ-ზე მეტი ფართობის საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემისთვის რეკომენდაციები გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) შესაბამისი სამსახურის/უფლებამოსილი პირის დასკვნის საფუძველზე, შეუძლებელი იქნება საკუთრებაში გადასაცემი საცხოვრებელი ფართიდან 40 კვ.მ-ის გამიჯვნა ისე, რომ გამიჯნულ საცხოვრებელ ფართობს არ დაეკარგება საცხოვრებელი/ნივთობრივი დანიშნულება; ან/და

ბ) შესაბამისი სამსახურის/უფლებამოსილი პირის დასკვნის საფუძველზე, დადგინდება, რომ საკუთრებაში გადასაცემ საცხოვრებელ ფართზე პირის მიერ გაწეული რემონტის ღირებულება აღემატება აღნიშნული საცხოვრებელი ფართის ღირებულების ნახევარს.

6. ამ ბრძანების მე-5 პუნქტის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ პირთა მიმართ:

ა) რომლებმაც იმსახურეს და დაასრულეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის № 135 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტი;

ბ) რომლებსაც გაფორმებული აქვთ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 22 დეკემბრის № MOD 6 16 00001112 ბრძანებით დამტკიცებული შეთანხმების ოქმი.

7. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის № MOD 5 16 00000608 ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის, ამავე ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების/მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული სიის რიგითობის მიხედვით, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამავე კომისიის მიერ განსაზღვრული ოდენობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გადასაცემი საცხოვრებელი ბინის სანაცვლოდ, შეიძლება შეთავაზებულ იქნეს ფულადი კომპენსაცია (შემდგომში - კომპენსაცია).

8. კომპენსაცია პირს მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობას მისი საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის სანაცვლოდ კომისიის მიერ შეთავაზებული ოდენობით კომპენსაციის მიღების შესახებ.

9. ამ ბრძანების მე-7 და მე-8 პუნქტების მიზნებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა დაევალოს საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობას.

10. კომპენსაცია პირს მიეცემა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

11. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული:

ა) კომისიის სხდომებს თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე;

ბ) კომისიის სხდომების მიმდინარეობა ფორმდება ოქმის სახით;

გ) კომისია საოქმო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კომისიის თავმჯდომარის ხმას;

დ) კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, განსახილველი საკითხების მომზადებას, აგრეთვე კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულებას ახორციელებს საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური

უზრუნველყოფის სარდლობა.

12. კომისიის მდივნის ფუნქციას ახორციელებს საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის მიერ გამოყოფილი პირი.

13. სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბინების სარგებლობაში გადაცემა გაფორმდეს სამხედრო მოსამსახურეებისთვის სამსახურებრივ სარგებლობაში გადაცემული საცხოვრებელი ბინის მიღება-ჩაბარების აქტით (შემდგომში - მიღება-ჩაბარების აქტი) (დანართი).

14. ამ ბრძანების მე-13 პუნქტით განსაზღვრულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრების (აღმოსავლეთი/დასავლეთი) უფროსებს, ამ ბაზების ტერიტორიული უფლებამოსილების და სარგებლობაში გადაცემული ბინის მდებარეობის გათვალისწინებით.

15. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 აპრილის N MOD 8 14 0000441 ბრძანება.

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებისათვის
საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში გადაცემის

მიღება-ჩაბარების აქტი

№-----

„-----“ ----- 201_ წელი

მოსამსახურის სახელი, გვარი, მამის სახელი

პირადი ნომერი

დაკავებული თანამდებობა ფართის განაწილებისას

ოჯახის შემადგენლობა (ნათესაური კავშირის მითითებით):

1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----
6. -----
7. -----

სარგებლობაში გადაცემული ბინის მახასიათებლები:

მისამართი

საკადასტრო კოდი

კორპუსი ----- სადარბაზო ----- სართული -----

ბინის№ ----- ოთახი ----- ფართი ----- კვმ.

სარგებლობაში გადაცემული ბინის ტექნიკური აღწერილობა: -----

**საბინაო კომისიის საოქმო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მოხდა ბინის
სამსახურებრივ სარგებლობაში გადაცემა** -----

საცხოვრებელი ბინით მოსარგებლე/ოჯახის წევრები:

- აცნობიერებს, რომ საცხოვრებელი ბინა გადაეცა დროებით სარგებლობაში - საბინაო კომისიის შემდგომ გადაწყვეტილებამდე (რაც იმას ნიშნავს, რომ ბინა გამონთავისუფლებულ უნდა იქნას საბინაო კომისიის გადაწყვეტილების გაცნობიდან ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში);
- ვალდებულია გაუფრთხილდეს (მათ შორის არ დააზიანოს/გაანადგუროს) სარგებლობაში გადაცემულ ბინას (მათ შორის ამ ბინაში არსებულ ტექნიკურ და სხვა საშუალებებს);
- აანაზღაურებს მისი ბრალეული ქმედებით სარგებლობაში გადაცემულ ბინაზე (მათ შორის ამ ბინაში არსებულ ტექნიკურ და სხვა საშუალებებზე) მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- უფლებამოსილია ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობასთან შეთანხმებით აწარმოოს მიმდინარე რემონტი საკუთარი ხარჯებით, რაც სამინისტროს მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება;
- არ არის უფლებამოსილი მოახდინოს საცხოვრებელი ბინის გადაკეთება, რეკონსტრუქცია ან მესამე პირისთვის გადაცემა.

აქტი შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან:

- ეგზ. №1 ინახება ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობაში;
- ეგზ. №2 გადაეცემა საცხოვრებელი ბინით მოსარგებლეს.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დასტურდება საცხოვრებელი ბინის მოსარგებლისათვის გადაცემის/მიღების ფაქტი, აგრეთვე მოსარგებლის/მისი ოჯახის წევრების მიერ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული პირობების შესრულების ვალდებულება.

საცხოვრებელი ბინა ჩააბარა

თანამდებობა, სახელი გვარი ხელმოწერა

საცხოვრებელი ბინა ჩაიბარა

მოსამსახურის სახელი, გვარი ხელმოწერა

ოჯახის წევრის სახელი, გვარი ხელმოწერა

ოჯახის წევრის სახელი, გვარი ხელმოწერა

ოჯახის წევრის სახელი, გვარი ხელმოწერა